შემუშავდა ონის მუნიციპალიტეტის, კურორტ შოვის და სოფლების მრავალძლის და უწერის სივრცით-ტერიტორიული დაგემვის დოკუმენტაცია, რომელსაც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამტკიცებს ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო. დოკუმენტაცია წარმოადგენს განსახლებისა და განაშენიანების რეგულირების, მდგრადი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის, არსებული ბუნებრივი და ეკონომიკური რესურსების გონივრულად გამოყენების, ადამიანის ცხოვრების, საქმიანობისა და რეკრეაციისათვის ღირსეული, ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნის საფუძველს.

კანონმდებლობის შესაბამისად, სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტის შეთანხმების პროცედურის ერთერთი მთავარი საფეხურია საჯარო განხილვა. აღნიშნული დოკუმენტაციის შემუშავების პერიოდში ჩატარდა არაერთი საჯარო განხილვა, ამ ეტაბზეც საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ასევე საჭიროა დაინტერესებული პირებისაგან მოსაზრებების და შეფასებების მიღება, მათი შესაძლო გათვალისწინების მიზნით.

დოკუმენტის გასაცნობად გთხოვთ, ეწვიოთ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებ.გვერდს https://mrdi.gov.ge (სივრცითი მოწყობა, სივრცითი მოწყობის დოკუმენტები) სადაც განთავსებულია აღნიშნული დოკუმენტაცია. ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ წარმოადგინონ პროექტთან დაკავშირებული მოსაზრებები და შეფასებები ელექტრონულ მისამართზე: onismeria@gmail.com ან მისამართზე **ონის მუნიციპალიტეტის მერია, აღმაშენებლის ქ N40. საკონტაქტო ტელეფონი: ადმინისტრაცია. მობ. 591010361 / 591010363**